ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №2910726

ნომერი: AR1449622

თარიღი : 18.10.2016

გაცემის თარიღი : 25.10.2016

გაცნობის თარიღი : 25.10.2016

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კაირო , N 13 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ლევან შველიძე პ/ნ 35001001612
- რუსთავი VII მ/რ კორ. 27 ბ. 60

ორგანიზაცია:
- არქსტუდია კოდი: 416316132

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

# გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ განმეორებით ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებით გაცნობებთ: წარმოდგენილი დოკუმენტაციით საპროექტო შენობა/ნაგებობა წარმოადგენს კაფეს. ვინაიდან აღნიშნული საპროექტო მიწის ნაკვეთი ზონირების რუკის მიხედვით განთავსებულია სამრეწველო ზონა 1 (ს-1)-ში და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14–39 დადგენილების მიხედვით არ შედის დასაშვებ სახეობებში, შესაბამისად სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას გასცეს ნებართვა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური თქვენს მოთხოვნას კაფის მშენებლობაზე ვერ დააკმაყოფილებს.

რაც შეეხება თქვენს მიერ მოთხოვნის ტექსტში მითითებულ AR1413101 და AR1421065 განცხადებებს, სამსახურის მიერ 28.06.2016 წ. № 2679215 და 18.07.2016 წ. №2719987 გადაწყვეტილებით გაიცა წერილობითი თანხმობა ავტოტექმომსახურების და ავტოსადგომის ობიექტებზე, ხოლო სამრეწველო ზონა 1 (ს-1)-ში დასაშვებია აღნიშნული ფუნქციის (ავტოტექმომსახურების და ავტოსადგომის) ობიექტის მშენებლობა.

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.